პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 236 (13321) | ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

მკლავჩრ შრომითი ლიმავლობაა რესპუბლიკის საკავშირო მეჯვარეობაზე. სამრეწველო საწარმოებში. ყოველდღიურად 25-30 ალოგრაფ ჩაის კრეფს ზუგდიდის რაიონის სოფელ [illegible] ... ოქრო"; 115-120 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას თბილისის კერამიკული კომბინატის მოწინავე მუშა დ. მამულაშვილი.

ფოტო კ. ყუფუნიასი და შ. ჩხეტიანისა.

პლენუმის გადაწყვეტილებანი — მასებში

ბოლოდ ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIII ყრილობის მოწვევისა და მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ. ამ გადაწყვეტილებებს უდიდესი კმაყოფილებითა და მოწონებით შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი.

და ეს გასაგებიც არის. ამ ღონისძიებებს რომ იმუშავებდა, ჩვენი პარტია გამოდიოდა მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ძირიფესი ინტერესებიდან. იგი ყოველმხრივ ითვალისწინებდა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა, მეცნიერთა, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა სურვილებსა და წინადადებებს. პლენუმის გადაწყვეტილებებში კონცენტრირებულია ხალხის გამოცდილება, ხალხის ხმა, ხალხის ნება. და ხალხიც მიესალმება ამ გადაწყვეტილებებს.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის პარტიის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი მიაჩნიათ თავიანთ სისხლხორცეულ საქმედ. ქარხნებსა და ფაბრიკებში, შახტებსა და მშენებლობებზე, საკონსტრუქტორო ბიუროებში თუ სამეცნიერო დაწესებულებებში — ყველგან გულდასმით განიხილავენ სენტიმბრის პლენუმის მასალებს. გამოთქვამენ სრულ მზადყოფნას — დაუღალავად იბრძოლონ პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

პლენუმის მასალებს ყურადღებით ეცნობიან სოფლის მშრომელებიც. ისინი უკვე პრაქტიკულად გრძნობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდინარე წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა კეთილისმყოფელ გავლენას. და სენტემბრის პლენუმის დადგენილებანიც ხომ ქვეყნის ეკონომიკის განუხრელი აღმავლობისათვის ჩვენი პარტიის კურსის პირდაპირი გაგრძელებაა!

რაში მდგომარეობს პარტიის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა არსი?

ძნელია თუნდაც მოკლედ ჩამოვთვალოთ ყველა მათგანი. მრეწველობის ხელმძღვანელობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მრეწველობის ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდების გაძლიერების ღონისძიებათა დიდი მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი ერთიან სახელმწიფო დაგეგმვას უხამებენ საწარმოთა მთლიან სამეურნეო ანგარიშს, ცენტრალიზებულ დარგობრივ მართვას — ფართო რესპუბლიკურ და ადგილობრივ სამეურნეო ინიციატივას, ერთმმართველობის პრინციპს და საწარმოო კოლექტივების როლის გადიდებას.

ცნობილია, რომ კარგი გადაწყვეტილებაც კი მხოლოდ მაშინ იძლევა საჭირო ეფექტს, როცა იგი დაუვნილი იქნება ფართო მასებამდე, დროულად იპოვნის ადგილს მათს გულსა და გონებაში, ხოლო შემუშავებული ღონისძიებანი გარდაქმნებიან კონკრეტულ, პრაქტიკულ საქმეებად.

ამ დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ერთხმად. მიიღო კანონი მრეწველობის მართვის ორგანოების სისტემის შეცვლისა და სახელმწიფო მართვის ზოგიერთი სხვა ორგანოების გარდაქმნის შესახებ. ეს არის დიდი და პრაქტიკული ნაბიჯი პარტიის გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე.

გათვალისწინებული გარდაქმნები მოიცავს მილიონობით მშრომელთა საწარმოო მოღვაწეობას. და თვითეული მათგანი სისხლხორცეულად დაინტერესებულია მისი რაც შეიძლება სწრაფად, ეფექტურად განხორციელებით. წარმატება კი დიდად არის დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობაზე. რესპუბლიკის მრეწველობაში მუშაობს ათასობით კომუნისტი, რომლებიც აქტიურად ეწევიან მასებში პარტიის იდეების პროპაგანდას. საჭიროა ახლა უფრო აქტიურად დავრაზმოთ კომუნისტთა ეს დიდი არმია.

რა არის მთავარი, რა ამოცანების წინაშე დგანან ახლა პარტიული ორგანიზაციები და პარტიული კომიტეტები? რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება თავიანთ პროპაგანდისტულ და ორგანიზატორულ მოღვაწეობაში?

ამჟამად პირველი რიგის ამოცანაა გულმოდგინედ გავაცნოთ და განვუმარტოთ თვითეულ მშრომელს სექტემბრის პლენუმის გადწყვეტილებანი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მასალები; დავეხმაროთ თვითეულ კოლექტივს იპოვნოს თავისი ღირსეული ადგილი ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის საერთო ბრძოლაში, მთლიანად აამოქმედოს წარმოების რეზერვები. ახლა ხომ განუზომლად იზრდება თვითეული მუშისა და მოსამსახურის პასუხისმგებლობა მშობლიური საწარმოს ბედისათვის, მისი მოღვაწეობის ეკონომიური ეფექტისათვის! და ბუნებრივია, რომ რაც უფრო ღრმად და სწორად გაერკვევიან ისინი დასახული ამოცანების სიცხადეში, მათს მოქმედებასა და შრომას უფრო სასურველი, უფრო მეტი შედეგიც ექნება.

სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა პარტიულ ორგანოებიდან დაავალა, ფართოდ განუმარტონ მრეწველობის მუშაკებს, ყველა მშრომელს ამ პლენუმის გადაწყვეტილებათა არსი, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების მთელი ძალები მოახმარონ იმ ღონისძიებათა შესრულებას, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს.

სწორედ ამ მიზნისათვის ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ, პარტიულმა კომიტეტმა აქტიურად უნდა გამოიყენოს მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მოღვაწეობის მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები, მთელი პროპაგანდისტული მუშაობის მდიდარი არსენალი.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ამ დღეებში განსაკუთრებული ძალით გაისმის აგიტატორების, ლექტორების, პროპაგანდისტების მგზნებარე ხმა. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის და სხვა ქალაქების სამრეწველო საწარმოებში ათეულ ათასობით აგიტატორი ცოცხლად, დამაჯერებლად განუმარტავს მშრომელებს პლენუმის გადაწყვეტილებათა არსს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალებს, იმართება საინტერესო, გულღია საუბრები მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დეგეგმვის სრულყოფის, წარმოების ადამიანთა მატერიალური და მორალური სტიმულირების გაძლიერების საკითხებზე. ამ საუბრებში იბადება ეკონომიური მაჩვენებლების ზრდის ბევრი საყურადღებო წინადადება.

თვითეული მშრომელისათვის პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა ღრმად გაცნობა და განმარტება საპატიო, პასუხსაგები საქმეა. საგიტაციო საუბრები, ლექციები, მოხსენებები, თეორიული და ეკონომიური კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვა საშუალებანი უნარიანად უნდა გამოვიყენოთ, რომ პლენუმის იდეები ფართოდ გავავრცელოთ მასებში. ამ საქმეში პარტიულ ორგანოებიცებს დიდ დახმარებას გაუწევს პარტიული და კომკავშირული განათლების ქსელი, რომელშიც ქალაქად პირველი ოქტომბრიდან უკვე დაიწყო სასწავლო წელი.

ამჟამად, პარტიამ ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის ახალი ამოცანები რომ დახახა, განუზომლად მაღლდება მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის როლი. მაგრამ ეს იმას რადი ნიშნავს, რომ პარტიულმა კომიტეტებმა სამეურნეო ხელმძღვანელების მაგიერობა გასწიონ ანდა წვრილმანი მეურვეობა გაუწიონ მათ. ისინი მოვალენი არიან მთელი ყურადღება დაუთმონ ორგანიზატორულ მუშაობას, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი კონტროლს, მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის გაუმჯობესებას. საქმის თავი და თავი ის არის, რომ ამაღლონ კადრებისადმი მომთხოვნელობა, განავითარონ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა, განაზოგადონ და გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება, შეიარაღონ ადამიანები მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ეკონომიური ცოდნით.

ადამიანთა აქტივობის ამაღლება კი უდიდესი ძალაა, რომელიც მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ახალი შრომითი მიღწევების მოპოვებისათვის, ჩვენი პარტიის მორიგი XXIII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ღირსეული შეხვედრა ჩვენი პარტიის XXIII ყრილობას!

უწუნოდ, ურეკლამაციოდ

ჟუთაისი. (საკ. კორ.). № 8 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ჭ. თევდორაძე) ქალაქის საწარმოთა შორის ერთ-ერთმა პირველმა უპატაკა შეიდწლედის ვადამდე შესრულება. მკერავებმა ვადამდე, 18 სექტემბრისათვის გაანაღდეს ადრეთვე ბიმდინარე წლის ცხრა თვის დავალება.

ფაბრიკაში გაჩაღებულია ლაშქრობა უწუნო და უდაფეტო პროდუქციის წარმოებისათვის. წელს აქ სავაჭრო ორგანიზაციებისაგან არც ერთი რეკლამაცია არ მიღებია. ცხრა თვეში პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებამ 98,2 პროცენტს მიაღწია და გეგმით გათვალისწინებულს 2,2 პროცენტით ჭარაბობ.ა. მიღებულია 55 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება.

ზეგეგმითი რკინაბეტონი, ქვანახშირი

რუსთავი. (საკ. კორ.). ახალი წარმატებებით შეეხვდეთ პარტიის XXIII ყრილობას! — ასეთი დევიზით შრომობენ ახლა რკინაბეტონის კონსტრუქციების კომბინატში. კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა სექტემბრის საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 185 ათასი კუბმეტრი რკინაბეტონის ნაწარმი და 300-მდე კუბმეტრი სასაკონლო ბეტონი.

შრომის ავანგარდში დგას № 2 პოლიგონის კოლექტივი თ. კეთილაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც სექტემბრის დავალება 127 პროცენტით შეასრულა. თავი გამოიჩინეს აგრეთვე გ. გვასალიას ბეტონოვნეთა და ზ. გუხტაიშვილის მეარმატურეთა საამქროებმა.

ტყიბული. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივმა ორი კვირით ადრე უპატაკა სამშობლოს ენერგეტიკული სათბობის მოპოვების 9 თვის სახელმწიფო გეგმის შესრულება. აქ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქვანახშირის ამოღება 34 პროცენტით გაიზარდა.

ორჯონიკიძელებმა გადაწყვიტეს თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ამოიღონ 42 ემელონი „შავი ოქრო".

დაიწყო შაქრის ჭარხლის დამზადება

მემარხლეობის რაიონებში დაიწყო შაქრის ჭარხლის ახალი მოსავლის აღება და დამზადება. გეგმით წელს რესპუბლიკაში უნდა დამზადდეს 120.000 ტონა შაქრის ჭარხალი. 1 ოქტომბრისათვის დამზადებულია 1.570 ტონა.

შაქრის ჭარხლის ამოღებასა და დამზადებას შეუდგნენ გორის, ხაშურისა და ქარელის რაიონები.

მოლის თამბაქო

მეთამბაქოეობის რაიონები შეუდგნენ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის მიყიდვას. წლიური გეგმით სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს 19.000 ტონა თამბაქო. 1 ოქტომბრისათვის მიყიდული იყო 4.080 ტონა, ანუ გეგმის 21,5 პროცენტი. დღემდე ყველაზე მეტი თამბაქო დაუბადეს **აფხაზეთის** მეთამბაქოეებმა — სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.384 ტონა, რაც გეგმის 31,4 პროცენტს შეადგენს.

აჭარაში თამბაქოს დამზადების გეგმა შესრულებულია 25 პროცენტით, **ბოლნისის** რაიონში — 19,9, **ლაგოდეხის** — 17,1 ხოლო **მარნეულის** რაიონში — 0,6 პროცენტით.

უპატაკებენ სამშობლოს

ბორჯომის რაიონმა — აცნობეს რედაქციას საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ჯულაყაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ე. სოხაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა დ. ბარამიძემ, — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შეასრულა 104,2 პროცენტით, რძისა — 100,8, კვერცხისა — 105,9, მატყლისა — 100 პროცენტით.

საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა პ. აბესაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ჯობლიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. კვირიკაშვილმა აცნობეს რედაქციას, რომ რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური გეგმა გაანაღდეს 101 პროცენტით, კვერცხისა — 116 პროცენტით.

საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის მეორე მდივანმა ა. თოფურიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ნადარეიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. კუციაბ რედაქციას აცნობეს, რომ აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობამ 30 სექტემბრისათვის ვადაჭარბებით შეასრულეს სიღოსის დამზადების წლიური გეგმა. 7.975 ტონის ნაცვლად დამზადებულია 8.171 ტონა სიღოსი.

მახარაძელმა მშრომელებმა, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. თოფიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. ჯაყელმა, — ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები. სახელმწიფოს ხორცი მიეყიდა 3.250 ცენტნერი ნაცვლად 3.200 ცენტნერისა, რძის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა განაღდებულია 108 პროცენტით, კვერცხისა — 101 პროცენტით.

დმანისის რაიონმა 29 სექტემბერს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა შეასრულა 109 პროცენტით, რძისა — 106 პროცენტით, მატყლისა — 102 პროცენტით, კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა განაღდებულია 101 პროცენტით — აცნობეს რედაქციას საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. მანთაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ისმაილოვმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა დ. ქრისტესაშვილმა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის შრომის ფითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზაალ ბესარიონის-ძე **გელდიაშვილი** დაჯილდოვდეს **შრომის ფითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. **1965 წლის 30 სექტემბერი.**

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მოქანდაკე ს. ი. კაკაბაძის შრომის ფითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მოქანდაკე სილოვან იაკიმეს-ძე **კაკაბაძე** დაჯილდოვდეს **შრომის ფითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. **1965 წლის 30 სექტემბერი.**

სადილი კრემლში

მოსკოვი. 4 ოქტომბერი. (საკდესი). სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 4 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში დიდი ვეფხვი გამართეს პარტიისა სუდანის კავშირი — აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების ვეფხერალური მდივნის, მალის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის თავმჯდომარის მოდიბო კეიტას პატივსაცემად, რომელიც მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

სადილის დროს, რომელმაც მეგობრობისა და გულთათანადობის ვითარებაში ჩაიარა, სიტყვები წარმოთქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და პარტია სუდანის კავშირი — აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების გენერალურმა მდივანმა მოდიბო კეიტამ.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და მოდიბო კეიტას სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს. სიტყვების დროს არაერთხელ გაისმა ტაში. (საკდესი).

მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში

5 ოქტომბერს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება სუდანის კავშირი—აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების პარტიის გენერალურ მდივანთან, მალის რესპუბლიკის პრეზიდენტთან და მთავრობის თავმჯდომარესთან მოდიბო კეიტასთან და მალის სხვა პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებთან.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი და სხვა ოფიციალური პირები.

მოლაპარაკების დროს, რომელიც სრული გულახდილობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეები შეეხნენ სსრ კავშირისა და მალის ძმური ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სუდანის კავშირი — აფრიკის დემოკრატიული გაერთიანებას პარტიის ურთიერთობის განმტკიცების საკითხებს, აგრეთვე გაიმართა აზრთა გაზიარება თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებზე.

მოლაპარაკება 6 ოქტომბერს გაგრძელდება. (საკდესი).

დიდი ოქტომბრის გამოცდილება

სოციალისტური ქვეყნების ისტორიკოსთა თათბირი

მოსკოვი. 5 ოქტომბერი. (საკდესის კორესპონდენტი ნ. ჟელეზნოვი). სოციალისტური ქვეყნების მეცნიერები შეხვდნენ ერთმანეთს, რათა განიხილონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რეკოლუციის ორმოცდაათი წლისთავისათვის ერთობლივი კვლევის გეგმები. ეს საკოორდინაციო თათბირი, რომელიც დღეს დაიწყო მეცნიერთა სახლში, გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა პ. ნ. ფედოსეევმა. თათბირში მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის ისტორიკოსები.

დიდი ოქტომბრის ძირითადი პრობლემების ერთობლივმა დამუშავებამ, უბრა საკდესის კორესპონდენტს აკადემიკოსმა ი. ი. მინცმა, უკვე მოიტანა კარგი შედეგი. გამოვლინდა ახალი დოკუმენტები იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენდა ოქტომბერი სხვა ქვეყნების რევოლუციურ მოძრაობაზე, მაგალითად, ჩინეთზე. ამ ფაქტებზე ლენინი ამბობდა, ოქტომბერმა „ბოლო ბოლოს ... ...

პარტიული ცხოვრება

საქალაქო კომიტეტი და ეკონომიკის საკითხები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინ დაამთავრა მუშაობა, ღრმად განიხილა მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფის და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების საკითხები. ბუნებრივია, პლენუმის ეს გადაწყვეტილებანი უფრო დიდ ამოცანებს აყენებენ თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული პარტიული კომიტეტის წინაშე. და ჩვენ, პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკებმა, მომავალი საქმიანობისათვის საჭირო პრაქტიკული დასკვნები უნდა გავაკეთოთ.

ამჟამად ქალაქის მშრომელთა კოლექტივებში მიმდინარეობს პლენუმის მასალების ცოცხალი, საქმიანი განხილვა. სობუმელები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები, ერთსულოვნად იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს და აფასებენ მათ, როგორც დროულს, ცხოვრებით ნაკარნახევს. ისინი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ჩვენი პარტია განუხრელად სრულყოფს ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარისადმი ხელმძღვანელობის შეთოდებსა და სტილს.

ეს ხელს უწყობს იმას, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს ადამიანთა შემოქმედებითი აქტიურობა და ინიციატივა. და აი მშრომელთა თვითეულ კოლექტივში პლენუმის მასალების განხილვა მიმდინარეობს განსაკუთრებული საქმიანობის, თვითკრიტიკის ნიშნით. იბადება კონკრეტული წინადადებანი, თუ უკეთ როგორ გამოიყენონ ახალი გარდაქმნების სიკეთე, წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სამეოხენი წელი, სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის პირველი ნაბიჯებიდანვე მიაღწიონ საგრძნობ ეკონომიურ შედეგებს.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა პირველადს პარტორგანიზაციებში ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებით შეძლო წამოიწია მთელი რიგი საკითხები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია საწარმოთა ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან. მუშებთან, სპეციალისტებთან უშუალო კონტაქტები პარტიულ მუშაკებს ეხმარება ღრმად ჩასწვდნენ წარმოების საჭიროებებს, მისცენ საქმიანი რჩევა-დარიგება, წაახალისონ ინიციატივა, აამაღლონ მათი აქტივობა.

პარტიული ქრონიკა

სემინარი ახალარჩეული მდივნებისათვის

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომმა მოაწყო სემინარი პირველადი პარტიული ორგანიზაციების ახალარჩეული მდივნებისათვის.

პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის სექტემბრის პლენუმის მასალებიდან გამომდინარე ამოცანებზე სემინარის მონაწილეებს ესაუბრა პარტიის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი დ. აბუთიძე.

შინაპარტიული მუშაობის ცალკეულ საკითხებზე მოსხენებით გამოვიდნენ პარტიის რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკები.

გაძლიერებულია 186 პროპაგანდისტი

თელავი. (საკ. კორ.). მუშაობა დაამთავრა პროპაგანდისტთა გადასამზადებელმა კურსებმა, რომელიც თელავში მოაწყო საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა. კურსებზე ლექციები წაიკითხეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორებმა, პარტიულმა მუშაკებმა.

თეორიულ და მეთოდურ ლექციებთან ერთად ჩატარდა სემინარები პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებაზე, ახალი სასწავლო წლის ამოცანებზე. მოეწყო ექსკურსიები.

კურსებზე გადამზადებულ იქნა კახეთის რაიონების 186 პროპაგანდისტი.

კონკურსი საგაზეთაჟიო მუშაობის ამასალად მასალებზე

ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ რედაქციამ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო მასალებზე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების შესახებ.

კონკურსისათვის შეიძლება დაიწეროს ნარკვევი, სტატია, კორესპონდენცია, ჩანახატი, რეპორტაჟი საუკეთესო აგიტატორებისა და მოწინავე აგიტკოლექტივების მუშაობაზე. მათში ნაჩვენები უნდა იყოს, თუ რა საქმიანობას ეწევიან ისინი, როგორ აღწევენ წარმატებას, საფუძვლიანად იყოს გაშუქებული საგიტაციო, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შედეგები გაუმჯობესების საკითხები.

საუკეთესო მასალებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები: ერთი პირველი პრემია — 150 მანეთის; ორი მეორე პრემია — 100-100 მანეთი და სამი მესამე პრემია — 50-50 მანეთი.

კონკურსი გაგრძელდება 1966 წლის 1 თებერვლამდე.

კომუნისტი

მე-2 გვერდი, ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი, 1965 წ.

სოხუმის საზღვაო ნავსადგურის კოლექტივი წლების მანძილზე არარენტაბელურად მუშაობდა. ამ მდგომარეობიდან გამოსავლის მიგნება ნავსადგურს კომუნისტთა მთავარი საზრუნავი გახდა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად დაიბადა აზრი, რომ სოხუმის საზღვაო ნავსადგურს დაკისრებოდა ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციების ქვიშით და ხრეშით მომარაგების საქმე. პარტიის საქალაქო კომიტეტის სამრეწველო და სამშენებლო განყოფილება სპეციალისტებთან ერთად შეუდგა სამშენებლო ორგანიზაციებისათვის საჭირო ქვიშისა და ხრეშის რაოდენობის გამოთვლას. ამას ეკონომიური გაანგარიშებაც მოჰყვა. დასახა აგრეთვე ღონისძიებანი ნავსადგურის ალსაჭურვად საჭირო მანქანებითა და ტრანსპორტით. ამ საქმეში ნავსადგურს შავი ზღვის სანაოსნო სამმართველომაც მისცა მხარი. მალე მუშობა გაიშალა. ერთხელ და სამუდამოდ შეწყდა მშენებლების წუწუნი „ქვიშის პრობლემის“ შესახებ.

კომუნისტების ამ ინიციატივამ სამშენებლო მასალათა რეზერვის ამოქმედების გარდა საგრძნობი ეკონომიური ეფექტი მოგვცა. აი რა თქვა ამის შესახებ ამას წინათ ნავსადგურში გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტმა ექიმმა ვ. პიატიშენმა:

— 30 წელია ამ საწარმოში ვმუშაობ და ამ ხნის მანძილზე ნავსადგური არასოდეს არ ყოფილა რენტაბელური. დღეს კი ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი კოლექტივი დაადგა რენტაბელური მუშაობის გზას. ამ ორი-სამი წლის წინ ნავსადგურის სატვირთო ოპერაციები წლიურად 12-15 ათას ტონას ძლივს აღწევდა, ხოლო მგზავრთა გადაყვანა 600-700 ათას კაცს. ეს წლიურად 150-200 ათას მანეთ ზარალს იწვევდა. სამშენებლო ორგანიზაციების ინერტული მასალებით მომარაგების გაუმჯობესებამ და საწარმოო ტექნიკით აღჭურვამ გააფართოვა ტვირთზიდვა და სატვირთო ოპერაციები.

გაიზარდა და გაუმჯობესდა მგზავრთა გადაყვანა, შეიცვა სახალხო-სამგზავრო ფლოტი, გაკეთდა და მოძველებული ტექნიკა შეიცვალა კომფორტაბელური კატერებით, რის შედეგად ნავსადგურში მგზავრთა ბრუნვა ერთ მილიონ კაცამდე გაიზარდა. სოხუმის ნავსადგური კოლექტივმა 1964 წელი მინიმალური ზარალით დაამთავრა, ხოლო 1965 წლის მეორე ნახევრიდან კოლექტივმა უარი განაცხადა სახელმწიფო დოტაციაზე. ამჟამად ეს ნავსადგური იბრძვის შავი ზღვის აუზის ნავსადგურებს შორის მოწინავე ადგილისათვის.

სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი ცუდი მუშაობისათვის არაერთხელ მოხვედრილა პრესის ფურცლებზე, გაუკრიტიკებიათ კრებებსა და თათბირებზე. კომბინატის ასეთი მდგომარეობა ძალიან აწუხებდა პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკებს. ამიტომ ისინი ამ კოლექტივის ხშირი „სტუმრები“ იყვნენ და დღესაც არიან.

საქალაქო კომიტეტის მუშაკებმა კომბინატის პარტიულ კომიტეტთან ერთად მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები შეიმუშავეს.

გაძლიერდა ორგანიზატორული მუშაობა, წესრიგი დამყარდა რიტმულ მომარაგებაში. შესამჩნევად გაუმჯობესდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები. ყოველივე ამან წარმოებაში მდგომარეობა ძირფესვიანად შეცვალა. თუ წინათ კომბინატი ხშირად იხდიდა ჯარიმებს უხარისხო პროდუქციისათვის, უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა გამოსწორდა. მოწესრიგდა სეზონური ფეხსაცმლის დროზე გამოშვების საკითხი, რამაც ბოლო მოუღო საწყობებში საქონლის ჩაწოლას, დაინერგა შრავალი ახალი მოდელისა და ფორმის ფეხსაცმლის გამოშვება. გაუმჯობესდა წარმოების ნარჩენების გამოყენების საკითხი და სხვ.

ამ ქმედითმა ღონისძიებებმა კომბინატს საშუალება მისცა ფეხსაცმლის გამოშვების მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა 103,3 პროცენტით შეესრულებინა. გადამეტებით იქნა განაღდებული პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების დავალებაც. მიმდინარე წლის 7 თვეში ზეგეგმითმა მოგებამ 144 ათასი მანეთი შეადგინა.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი არაერთხელ ყოფილა საქსოვი ფაბრიკის მუშაობა. ამავე საკითხზე წერდა გაზეთი „კომუნისტი“ თავის მიმდინარე წლის 27 თებერვლის ნომერში. წერილში მოყვანილი ფაქტების ადგილზე შესწავლამ საქალაქო კომიტეტის მიერ და ბიუროს სხდომაზე განხილვამ ცხადყო, რომ საქსოვი ფაბრიკის ხელმძღვანელობა ვერ ერთმევდა თავს, ხოლო პირველადი პარტიული ორგანიზაცია სათანადო ზომებს არ იღებდა კომუნისტთა დასახმარებლად ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. საჭირო შეიქმნა როგორც ორგანიზაციული ზომების მიღება, ისე კონკრეტული პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა.

საქალაქო კომიტეტისა და გაზეთის მიერ დაყენებულმა საკითხმა სათანადო გამოხმაურება ჰპოვა. ფაბრიკაში მდგომარეობის გაუჯობესებისათვის მოვლენილნი იქნა სპეციალისტებისა და ოსტატების ჯგუფი, რომლებმაც პრაქტიკული დახმარება გაუწიეს საწარმოს კოლექტივს. შეიცვალა მოძველებული ტექნიკა. პარტიულმა ორგანიზაციამ ადმინისტრაციასთან ერთად გააძლიერა პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლი, განსაკუთრებით გაამხვილეს ყურადღება მუშების კვალიფიკაციის ამაღლებისადმი. ცხადია, სწორი არ იქნება ვთქვათ, რომ დღის ფაბრიკაში ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ერთი რამ ცხადია: წარმოება უფრო გამართულად მუშაობს და მდგომარეობას მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ემჩნევა.

ქარგად მუშაობს საგალანტერეო ფაბრიკაში ეკონომიური ანალიზის ბიურო. ანალიზი გაუკეთა რა 1964 წლის მუშაობის შედეგებს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფაბრიკის მიერ გამოშვებული ზოგიერთი პროდუქციის გაუსაღებლობის მიზეზი იყო მისი უხარისხობა.

ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ადმინისტრაციის წინაშე დასვა საკითხი შეეხსნელათ მოსკოვის, ლენინგრადისა და რიგის საგალანტერეო ფაბრიკების მოწინავე გამოცდილება. მალე ამ ქალაქებში მივლენილნი იქნენ ფაბრიკის ინჟინერი, მხატვარი და მოწინავე მუშა. ფაბრიკის კომუნისტთა ღია კრებამ მოისმინა შემოქმედებითი მივლინებიდან დაბრუნებულ მუშაკთა ინფორმაციები. დაზუსტდა მოძველებული და არარენტაბელური პროდუქციის სახეები, რის შედეგადაც ზემდგომი ორგანოების წინაშე დაისვა მათი გამოშვების შეწყვეტის საკითხი. მოძველებული და არარენტაბელური პროდუქციის ნაცვლად დაინერგა ახალი სახეობის სამომხმარებლო საგნების გამოშვება.

რეზერვები გამოიძებნა ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმების გადასინჯვის შედეგადაც. შეიცვალა მოძველებული დაზგები, გაუმჯობესდა წარმოების კულტურა. მიმდინარე წლის შესული 14 რაციონალიზატორული წინადადებიდან 13 დაინერგა წარმოებაში, რამაც ფაბრიკას წლიურად 7,7 ათასი მანეთი დაუზოგა.

უურადღება მიიპყრო ფაბრიკაში პოლიეთილენისა და პოლისტირილის ნარჩენების გამოყენების შესახებ მუშა ბ. ვოზნესენსკის მიერ შეტანილმა წინადადებამ. ამ ნარჩენების გადამუშავების შედეგად გამოშვებულ იქნა 6 ათასი ცალი საუვავილე ქოთანი ქალაქის გამწვანების სექტორისათვის.

საქალაქო კომიტეტმა გამოარკვია, რომ ყველა საწარმოში ერთნაირი მონდომებით როდი უკეთებენ ანალიზს წარმოების ეკონომიკის საკითხებს. უფრო მეტი. ზოგან ვერ სწყდებიან იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლის რენტაბელობას, თავის დროზე არ ავლენენ რეზერვებს, აგვიანებენ სტაბილიკური ცნობების შედგენას. ყველაფერი ეს ადგილებზე უუაირათობით, ზოგჯერ კი უცოდინარობითაც უნდა აიხსნას.

საქალაქო კომიტეტს მიზნად აქვს დასახული ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მოიწვიოს საწარმოთა ეკონომისტების, მგეგმავ-ბუხგალტრების სემინარი. იმ ორგანიზაციებში კი, სადაც ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს შესამჩნევ ეკონომიურ ეფექტს, საქალაქო კომიტეტი მიმართავს ეკონომიური ანალიზის ბიუროს დასახმარებლად შტაბგარშე კონსულტანტების მივლინებას. ამ მხრივ ქების ღირსია ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის, პენსიონერ ს. ბიკის აქტიური მუშაობა.

პარტიის საქალაქო კომიტეტი წარმოების კომუნისტთა ყურადღებას მიაპყრობს გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებაზე.

ქალაქში კადრების ეკონომიური სწავლების მიზნით საწარმოებში ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები, თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

პარტიის საქალაქო კომიტეტის, პირველადი პარტორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც სულ უფრო იკრებს ძალებს. მიმდინარე წლის 9 სექტემბერს სამშობლოს ფუძეპატეკი სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ვადაწინაური გეგმის შესრულება. თუ მიმდინარე წლის პირველი კვარტალისათვის ქალაქის საწარმოთა შორის 10 ჩამორჩებოდა, ამჟამად თვის რიცხვი 4-მდე დავიდა. მიმდინარე წლის რვა თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 1.167 ათასი მანეთის პროდუქცია, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ტყავფეხსაცმლის კომბინატის, პურის ქარხნის, ქიმიური ქარხნის, თამბაქოს ფაბრიკის, ხორცკომბინატის. საკონსერვო ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

საქალაქო კომიტეტის ბიურო რეგულარულად ისმენავს სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს და სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებსაც შემდეგ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობით განვამტკიცებთ. პრაქტიკაში დამკვიდრდა წარმოების მეთაურთა და პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენა. პერიოდულად ვაჯამებთ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს.

როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე აღინიშნა, წარმოების აღმავლობის მნიშვნელოვანი ბერკეტია მორალური და მატერიალური სტიმულები. გამარჯვებული საწარმოებისათვის დაწესებულია საგი დროშა — ერთი ჩვენი ქალაქისა, ორი კი—ბათუმისა და კიროვაკანისა, ე. ი. იმ ქალაქებისა, რომლებთანაც სოციალისტურ შეჯიბრებაში ვართ ჩაბმული. საწარმოებში დაწესებულია სპეციალური ვიმპელებიც. სოციალისტური შეჯიბრების შესახებ წერენ საოლქო და კედლის გაზეთები, იუწყება ადგილობრივი რადიო.

ეკონომიკის აღმავლობის საკითხებს ეიმეტდნიან თავიანთ საუბრებს აგიტატორები, რომელთა რიცხვი ქალაქში ორ ათასს აღწევს. გაძლიერდა ლექციური პროპაგანდაც. მშრომელთა წინაშე ახლა უფრო მეტი ხელმძღვანელი მუშაკი გამოდის.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობის ერთერთი მთავარი უბანია. ამ საქმეს ემსახურება იდეოლოგიური მუშაობის მრავალი ფორმა და საშუალება, გამოცდილების გაზიარების მიზნით პრაქტიკაში შემოვიღეთ საწარმოთა დელეგაციების გაცვლა. დელეგაციების წევრთა ინფორმაციების მოსმენა და სხვ.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე აღინიშნა, ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითადი ფაქტორად ითვლება ტექნიკური პროგრესი. ეს ნიშნავს, ჯერ ერთი, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის, ავტომატების, ავტომატური ხაზების, ელექტრონული მოწყობილობის, ელექტრონული გამოთვლითი მანქანების, ქიმიზაციის, ავტომატიზაციის, ელექტრიფიკაციის, ელექტროენერგეტიკის, ელექტროტექნიკის, ელექტრონიკის, ავტომატიკის, ელექტროგალვანოტექნიკის, ელექტროფიზიკური და ელექტროქიმიური ტექნოლოგიის, ელექტროფიზიკური ტექნოლოგიის, ელექტროფიზიკური ტექნოლოგიის, ელექტროფიზიკ

მთელი რევოლუციური ძალების ერთობისათვის

კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი მეცნიერული კონფერენცია

◆

მოსკოვი, (საკდესის კორ.). კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის 30 წლისთავს მიეძღვნა მეცნიერული კონფერენცია, რომელიც 4 ოქტომბერს გაიმართა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. ეს კონგრესი, რომელიც 1935 წლის ივლის-აგვისტოში მიმდინარეობდა მოსკოვში, ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში შევიდა როგორც მძლავრი მოწოდება მთელი რევოლუციური და დემოკრატიული ძალები გაერთიანებულიყვნენ რეაქციისა და ფაშიზმის საფრთხის წინაშე. მაშინ 65 მომძღვარ პარტიის დელეგაციებმა განიხილეს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საარსებო საკითხები. დასკვნებმა, რომლებიც ამ კონგრესზე კომუნისტებმა გამოიტანეს, გაუძლო დროის გამოცდას.

ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები, ვეტერანი კომუნისტები, პარტიული და პროფკავშირული აქტივისტები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოძმე კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები: ესპანეთის კომპარტიის თავმჯდომარე დოლორეს იბარური, სირიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ჰალედ ბაგდაში, რომლებიც VII კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ, ავსტრიის კომპარტიის თავმჯდომარე ფრანც მერი, საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კოსტას კოლიანნისი, ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარე რეზა რადმანეში, ლუქსემბურგის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ჟან კილი, მორის ტორეზის ინსტიტუტის ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე (საფრანგეთი) ჟორჟ კონიო, კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის მონაწილე, ანტონიო გრამშის სახელობის ინსტიტუტის დირექტორი (იტალია) ფრანკო ფერი. ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის უხუცესი მოდვაწე, კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის მონაწილე ალექსანდრე ტრასტენბერგი და სხვები.

კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა. მან თქვა:

— ოცდაათი წლის წინათ ამ შენობაში, ამ დარბაზში, სადაც ჩვენ შეიკრიბებით, მოხდა ღირსშესანიშნავი მოვლენა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში — კომუნისტური ინტერნაციონალის მეშვიდე კონგრესი.

კონგრესის მთელი მუშაობა განსაკვალული იყო მარქს-ენგელს-ლენინის დიადი მოძღვრების შემოქმედებითი სულისკვეთებით, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის კოლექტიურმა აზრმა შეიმუშავა კომუნისტთა რევოლუციური მოლვაწეობის ახალი სტრატეგიული და ტაქტიკური ფორმები და მეთოდები, რომლებიც შეესაბამებოდა ბრძოლის შეცვლილ პირობებს.

ჭეშმარიტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტური ინტერნაციონალის მეშვიდე კონგრესს. მისი იდეები დღესაც აქტუალურია, ისინი გვეხმარებიან იმ ამოცანათა გადაჭრაში, რომლებიც დღესაც დგას კომუნისტური და მუშათა პარტიების წინაშე.

მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიული მოძრაობის ერთობა, აი ის მაგვარი, ძირითადი სტრატეგიული ხაზი, რაც კომუნისტური ინტერნაციონალის მეშვიდე კონგრესმა მისცა მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას.

შემდეგ მ. ა. სუსლოვმა თქვა, რომ თანამედროვეობის მთელი დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობა და შეკავშირება ჩვენი ეპოქის საარსებო მოთხოვნილებაა. ეს არის გმირობა მუშათა კლასის ახალი გამარჯვებებისა იმპერიალისტური რეაქციის, მონოპოლიების ძალმომრეობის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში, პირობა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი გამარჯვებებისა, მთელი მსოფლიო რევოლუციური პროცესის ძლევამოსილი განვითარებისა.

— კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის იდეები, — თქვა დასასრულ მ. ა. სუსლოვმა, — ცოცხლობს და ვითარდება თანამედროვე კომუნისტური მოძრაობის თეორიასა და პრაქტიკაში. ისინი მოგვიწოდებენ, რომ უფრო მტკიცედ შევკავშირდეთ, ვიბრძოლოთ იმპერიალისტური რეაქციისა და ომის ძალების წინააღმდეგ. მუშათა კლასის დიდი მიზნებისათვის — სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის.

მოხსენება „კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის ისტორიული მნიშვნელობა და თანამედროვე კომუნისტური მოძრაობა“ გაიკითა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. მ. რუმიანცევმა.

— მარქსისტული აზრის ისტორიაში, — თქვა მომხსენებელმა, — ცოტა მაგალითი როდია, როცა დებულებებს, რომლებიც წარმოიშვა და ჩამოყალიბდა ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით, დროის განმავლობაში არამცთუ არ დაუკარგავთ საზოგადოებრივი მნიშვნელობა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო სრულად გამოუმჟღავნებიათ თავიანთი სიღრმე და მარადიული მნიშვნელობა.

სწორედ ასეთია ბევრი დასკვნა, რომლებიც საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ გამოიტანა 30-იანი წლების შუახანებში, და რომლებიც ეისახა მეშვიდე კონგრესის ისტორიულ გადაწყვეტილებებში.

როგორია კონგრესის ეს დასკვნები?

ჯერ ერთი, ომის საფრთხისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის იდეა, რასაც მატერიალურად განამტკიცებდა მთელი თავისი ძლიერებით პირველი სოციალისტური სახელმწიფო — სსრ კავშირი. მუშათა კლასის რიგების ერთობისათვის, ერთიანი პროლეტარული ფრონტიისათვის ბრძოლის იდეა, მთელი ანტიფაშისტური, დემოკრატიული ძალების შეკავშირება, სახალხო ფრონტის შექმნა. დემოკრატიისათვის ბრძოლის იდეა, როგორც სოციალიზმისათვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილი. მთელი მსოფლიო რევოლუციური ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობის განმტკიცების იდეა, მათ შორის მუშათა მოძრაობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ურთიერთმოქმედების იდეა. და, ბოლოს, მემარჯვენე ოპორტუნიზმის დოგმატიზმისა და სექტანტობის იდეოლოგიის წინააღმდეგ, კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების განმტკიცებისათვის ბრძოლის იდეა.

კონგრესმა შეიმუშავა კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული და ტაქტიკური დებულებანი მსოფლიოს ნამდვილად რევოლუციური გარდაქმნისათვის მუშათა კლასის ბრძოლის შეცვლილი პირობების შესაბამისად. კონგრესმა გადაწყვეტილებანი, რომლებმაც კომუნისტების უურადღება და ძალები წარმართა გადაუდებელი უმნიშვნელოვანესი ამოცანების — ომის საფრთხისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანების განხორციელებისათვის, შეესაბამებოდა მთელი კაცობრიობის საარსებო ინტერესებს. ეს გადაწყვეტილებები დაეხმარა მუშათა მოძრაობას, რომ რთულ საერთაშორისო ვითარებაში ღირსეულად შეესრულებინა საზოგადოებრივი პროგრესის მოწინავე ძალის როლი.

ჩვენს დროში ძირეულად შეიცვალა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება მსოფლიოში. ფაშიზმი განადგურდა, შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა. დედამიწის უდიდეს სივრცეებზე ძლევამოსილად გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის შედეგად პოლიტიკური თვალსაზრისით დაიმსხვრა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა. მთელი საზოგადოებრივი განვითარების ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს ორი სისტემის — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების შეჯიბრების მსვლელობა და შედეგები ამ ბრძოლის პროცესში სოციალიზმი სულ უფრო მეტად ხდება ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი. მსოფლიო სოციალისტური სისტემა, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ძალები აიძულებენ კაპიტალიზმს შეურიგდეს საწინააღმდეგო სოციალურ-ეკონომიური სისტემების მშვიდობიან თანაარსებობას. ახლა კაპიტალიზმი აღარ არის მსოფლიოში გაბატონებული სისტემა. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამან განსაზღვრა, რომ დაიწყო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ახალი, მესამე ეტაპი. თანამედროვე მსოფლიოში უაღრესად გამწვავდა ძველისა და ახლის, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის, იმპერიალიზმისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლა. ომის ღრუბელი განუწყვეტლივ დაადგომია თავს კაცობრიობას, საფრთხე ხან გვშორდება, ხან კვლავ გვიახლოვდება. ყველამ იცის, რომ ახლა სამეფე ეხება არა მარტო მსოფლიო ომს, არამედ თვით კაცობრიობის არსებობას. ამერიკის აგრესია ვიეტნამში მეაფოდ მოწმობს, რომ მსოფლიოში ცოტა როდია იმპერიალისტი პოლიტიკოსი, რომლებსაც ურჩევნიათ არ დაუფიქრდნენ თავიანთი ავანტიურისტული მოქმედების შედეგებს. ამიუამად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას აგრესიული ძალების ცდის წინააღმდეგ დაარღვიონ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა.

ახლანდელი საშინა საერთაშორისო სიტუაცია მოითხოვს მშრომელთა გამოუკლებლივ ყველა რაზმის, ყველა ადამიანის დიდ აქტივობასა და შეკავშირებას, ვისაც სურს მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება.

შემდეგ მომხსენებელმა გააშუქა თეზისი: „დემოკრატიისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილია“. მომძე პარტიები ხელმძღვანელობენ ლენინის მითითებით გამოძებნონ დემოკრატიის განვითარების ახალი ფორმები და ამჟამად ეძებენ კონკრეტულ გზებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ ვიბრძოლოთ დემოკრატიის გაფართოებისა და განახლებისათვის, იმისათვის, რომ დემოკრატიამ შეიძინოს ახალი კლასობრივი შინაარსი. მასებმა, რომლებიც იბრძვიან რადიკალური დემოკრატიული პროგრამისათვის, ძირეული სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური გარდაქმნების პროგრამისათვის, შეიგნეს, რომ შეუთავსებელია დემოკრატია და კაპიტალიზმი. დემოკრატიისათვის ბრძოლა ბევრ ქვეყანაში მასების სოციალისტურ მისწრაფებათა გამოვლინების ფორმაა.

